საქართველოს მთავრობის

დადგენილება №271

2013 წლის 22 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, 2010 წ., №168) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. დანართი N1-ის (სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულება) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზიის მაძიებელი/ლიცენზიის მფლობელი უნდა აკმაყოფილებდეს თანდართულ შესაბამის მოთხოვნებს (დანართი №1[2]) და უზრუნველყოფდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის უწყვეტ ფუნქციონირებას, რაც გულისხმობს მომსახურების შეუფერხებელ მიწოდებას ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.”.

2. დანართს №12 (სასწრაფო სამედიცინო დახმარების სალიცენზიო პირობები) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8.	გამოძახების შესრულების უზრუნველყოფა	სასწრაფო სამედიცინო დახმარების სა-მსახურში სამედიცინო ერთეული შემთხ-ვევის მომსახურება იწყება პაციენტის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროებასთან დაკავშირებით გამოძახების მიღებისთანავე. **შენიშვნა:** სასწრაფო სამედიცინო დახმა-რების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**